ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5087926

ნომერი: AR1767741

თარიღი : 13.08.2020

გაცემის თარიღი : 02.09.2020

გაცნობის თარიღი : 03.09.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გოგებაშვილი , N 48;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევანი ჟღენტი პ/ნ 01007011102
- თბილისი აკ.წერეთლის გამზ. N 77 კორ. 5 ბ. 8

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2020 წლის 13 აგვისტოს №AR1767741 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 13 აგვისტოს №AR1767741 განცხადებით მომართა ლევანი ჟღენტმა და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის 23 ივლისის

№5031986 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 23 ივლისის №5031986 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, გოგებაშვილის ქ. №48-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 23 ივლისიდან 2020 წლის 23 ოქტომბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2020 წლის 23 ივლისის №5031986 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა და ითხოვს ავტოსადგომის ფართობად 200 კვ.მ-ის ნაცვლად 377 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა, წარმოდგენილი და შეთანხმებული დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 23 ივლისის №5031986 ბრძანებით შეთანხმებული პირველი სართულის გეგმაზე დაფიქსირებული ავტოსადგომები წარმოადგენს ღია ავტოსადგომებს, რომლებიც ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში არ შედის და აქედან გამომდინარე, ავტოსადგომის ფართობში, ისევე როგორც საერთო ფართობში ვერ დაფიქსირდება. თუმცა, შესაძლებელია ღია ავტოსადგომების ცალკე ფართობად დაფიქსირება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია შესწორებული დოკუმენტაციის წარმოდგენა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1.დაევალოს განმცხადებელს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში:
1.1. დააზუსტოს მოთხოვნა ღია ავტოსადგომების ცალკე ფართობად დაფიქსირებასთან დაკავშირებით.
1.2. წარმოადგინოს სამსახურის 2020 წლის 23 ივლისის №5031986 ბრძანებით შეთანხმებულის იდენტური მხოლოდ I სართულის გეგმა/ექსპლიკაციით (გეგმარების შეცვლის გარეშე) ღია ავტოსადგომების ცალ-ცალკე ფართობების დატანით და შესაბამისი მონიშვნით (სხვა გეგმების წარმოდგენა საჭირო არ არის).
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2020 წლის 13 აგვისტოს №AR1767741 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.